საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/117 „ 18 „ ივნისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

თ. ლეონიძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 4 ივნისის №1/44 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 20 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 15 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 4 მოსამართლის, მათ შორის ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე თეა ლეონიძის განაცხადი. აღნიშნული 4 კანდიდატიდან პროცესში მონაწილეობაზე უარი თქვა და განცხადება გაიხმო სამმა კანდიდატმა, შესაბამისად ვაკანსიაზე განხილულ იქნა მხოლოდ თეა ლეონიძის კანდიდატურა.

თეა ლეონიძეს აქვს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის 7-წლიანი გამოცდილება. ამასთან, იგი 4 წლის განმავლობაში ასრულებდა ამავე სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას. მისი სამოსამართლო სტაჟი და გამოცდილება ქმნის იმის წინაპირობას, რომ იგი შეძლებს წარმატებით განახორციელოს უფლებამოსილება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, თეა ლეონიძე გათავისუფლდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2021 წლის 1 ივლისიდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი